

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N 30 2008 წლის 20 თებერვალი ქ. თბილისი**

**მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო
სამეცნიერო გრანტების გაცემის წესის შესახებ დებულების
დამტკიცების თაობაზე**

მუხლი 1. საქართველოში სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედებისა და საგრანტო დაფინანსების გზით მეცნიერებისა და მეცნიერების პოლიტიკაზე მომუშავე პირების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციის მიზნით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 5¹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული დებულება მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის წესის შესახებ. (2.06.2015 N 244)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. (2.06.2015 N 244)

პრემიერ-მინისტრი

ვლადიმერ გურგენიძე

დებულება

**მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო
გრანტების გაცემის წესის შესახებ**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი (შემდგომში – სამოგზაურო გრანტი) არის მეცნიერების დაფინანსების ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად აძლიერებს ადგილობრივ სამეცნიერო პოტენციალს და ხელს უწყობს საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას.

2. ეს დებულება აწესრიგებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში – ფონდი) მიერ სამოგზაურო გრანტის მისაღებად კონკურსის გამოცხადების, გრანტის გაცემისა და მისი შესრულების კონტროლის წესს. (31.01.2012 N 34)

მუხლი 2. სამოგზაურო გრანტის მიზანი და ამოცანები

1. სამოგზაურო გრანტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერების მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას.

2. სამოგზაურო გრანტის ამოცანაა, დააფინანსოს კონკურსის გზით, საკონკურსო კომისიის შეფასების საფუძველზე შერჩეული სამოგზაურო გრანტები. (10.03.2010 N 70)

მუხლი 3. სამოგზაურო გრანტის გაცემის უზრუნველყოფა (31.01.2012 N 34)

1. სამოგზაურო გრანტს გასცემს ფონდი.

2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) სამოგზაურო საგრანტო კონკურსის გამოცხადებას;

ბ) კონკურსის გამართვის, სამოგზაურო გრანტის შესახებ საკონკურსო განაცხადების ფონდში წარდგენის, საკონკურსო განაცხადებისა და მასალების განხილვის ვადების დადგენას და საჯაროდ გამოცხადებას;

გ) კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცებას;

დ) საკონკურსო კომისიის შექმნას, რომელიც ამ დებულების მე-7 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად შეაფასებს წარდგენილ განაცხადებს; (2.06.2015 N 244)

ე) საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ პრეტენდენტთა გამოვლენასა და დამტკიცებას;

ვ) გამარჯვებულ პრეტენდენტთა დაფინანსებას და შემდგომ კონტროლს ამ დებულებითა და ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ამოღებულია (2.06.2015 N 244)

მუხლი 4. სამოგზაურო გრანტის დაფინანსება

1. სამოგზაურო გრანტი გაიცემა შემდეგ საერთაშორისო ან რეგიონულ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად: (2.06.2015 N 244)

ა) კონფერენცია;

ბ) კონგრესი;

გ) ფორუმი;

დ) სიმპოზიუმი;

ე) სამუშაო შეხვედრა (სამეცნიერო სემინარი/Workshop);

ვ) კონფერენციის, კონგრესის წინა ღონისძიება (მოკლევადიანი სემინარი, ტრენინგი) მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერთათვის (დოქტორანტი, ან დოქტორი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო 7 წლის პერიოდში).

2. სამოგზაურო გრანტის მისაღებად აუცილებელი პირობაა სამეცნიერო ღონისძიებაში მოხსენებით გამოსვლა და/ან სასტენდო მოხსენების პრეზენტაცია.

3. ამოღებულია (31.01.2012 N 34)

4. სამოგზაურო გრანტის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს მიღებული უნდა ჰქონდეთ მოწვევა სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზატორისაგან და მათ მიერ შეთავაზებული მოხსენების (ზეპირი ან სასტენდო) პროგრამაში ჩასმის დადასტურების საბუთი. (2.06.2015 N 244)

5. სამოგზაურო გრანტის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს მოქალაქე ყველა ფიზიკურ პირს, რომლებსაც აქვთ დოქტორის, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში. (2.06.2015 N 244)|

6. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალურად. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ნაშრომს ჰყავს რამდენიმე თანაავტორი, აღნიშნული ნაშრომის პრეზენტაციისათვის სამოგზაურო გრანტის კონკურსის ფარგლებში წარსადგენი ავტორის ვინაობას წყვეტს ავტორთა ჯგუფი.

7. შესაძლებელია ერთი და იმავე სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა თანაავტორების მიერ არა უმეტეს ორ სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

8. სამოგზაურო გრანტის დაფინანსება ითვალისწინებს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯების სრულ ან ნაწილობრივ დაფარვას.

9. დაფინანსების სრული პაკეტი მოიცავს: (31.01.2012 N 34)

ა) მონაწილეობის სარეგისტრაციო გადასახადს, თუ იგი გადახდილია ფონდის მიერ იმ კონკურსის გამოცხადების შემდეგ, რომელშიც გამარჯვებული საგრანტო პროექტი ფინანსდება;

ა¹) კონფერენციის, კონგრესის წინა ღონისძიების (მოკლე სემინარის, ტრენინგის) სარეგისტრაციო გადასახადს მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერთათვის (დოქტორანტი ან დოქტორი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო 7 წლის პერიოდში), თუ იგი გადახდილია ფონდის მიერ იმ კონკურსის გამოცხადების შემდეგ, რომელშიც გამარჯვებული საგრანტო პროექტი ფინანსდება. (2.06.2015 N 244)

ბ) ტრანსპორტით (საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო ტრანსპორტი დანიშნულების ადგილამდე; მხოლოდ ეკონომკლასის ბილეთი) ორმხრივი მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას; (2.06.2015 N 244)|

გ) სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებას „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულებით გათვალისწინებული ანაზღაურების ფარგლებში. სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯები ანაზღაურდება სამეცნიერო ღონისძიებაზე ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 7 ღამისა და 8 დღისა, რომლებშიც შედის გამგზავრებისა და დაბრუნების დღეები;

დ) სამოგზაურო დაზღვევის ხარჯებს;

ე) ვიზის ხარჯებს;

ვ) ამ პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხარჯები გაწეული უნდა იქნეს საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ პრეტენდენტთა გამოვლენისა და დამტკიცების შემდეგ.

10. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტს სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის მიღებული აქვს ნაწილობრივი დაფინანსება სხვა ორგანიზაციიდან, ფონდი განიხილავს დანარჩენი ხარჯების დაფინანსების (ნაწილობრივი დაფინანსება) საკითხს. (31.01.2012 N 34)

11. სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების შედგენისას კონკურსანტმა უნდა ისარგებლოს “მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით.

12. სამოგზაურო გრანტის ფარგლებში მიღებული დაფინანსებისათვის, კონკურსის შედეგებზე დაყრდნობით, ფონდი ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ პირებს ავანსად გადასცემს დამტკიცებული თანხის 90 პროცენტს. ქვეყანაში დაბრუნებისა და გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენისა და ფონდში განხილვის შემდეგ მოხდება სრული ანგარიშსწორება. (31.01.2012 N 34)

მუხლი 5. ხელშეკრულებების გაფორმება (31.01.2012 N 34)

გამარჯვებულ კონკურსანტებთან ფონდი აფორმებს ხელშეკრულებებს, რომლებითაც განისაზღვრება ფონდსა და გამარჯვებულ კონკურსანტებს შორის ურთიერთვალდებულებათა დეტალები.

მუხლი 6. სამოგზაურო გრანტის ფინანსური კონტროლი

1. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული სამოგზაურო გრანტის ფინანსურ კონტროლს. (31.01.2012 N 34)

2. დაფინანსებულმა პირმა ქვეყანაში დაბრუნებიდან 10 დღის ვადაში ფონდს უნდა წარუდგინოს ხარჯების დამადასტურებელი ყველა საბუთი, რის შემდეგაც მოხდება სრული ანგარიშსწორება. თუ წარდგენილი საბუთის თანახმად სა-დღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯები აჭარბებს “მოსამსახურეთათვის სამ-სახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით განსაზღვრულ ნორმებს, ფონდი არ ანაზღაურებს დარჩენილ სხვაობას. თუ საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯები ნაკლებია იმავე ბრძანებულებით განსაზღვრულ ნორმებზე, განმცხადებელი ვალდებულია უკან დააბრუნოს დაფიქსირებული სხვაობა. თუ ჩამოსვლიდან 10 დღის ვადაში ფონდში არ იქნა წარდგენილი გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფონდი უფლებამოსილია გამოითხოვოს ავანსად მიცემული თანხა.

3. გრანტის მიმღები ანგარიშვალდებულია, ღონისძიებიდან დაბრუნების შემდეგ, 10 დღის ვადაში, წარადგინოს მოხსენებითი ანგარიში და აგრეთვე 2 თვის

ვადამი გააკეთოს პრეზენტაცია მოხსენებისა და კონფერენციის შესახებ ფონდის მიერ უზრუნველყოფილ საჯარო ღონისძიებაზე (საჯარო ლექციების/სემინარების სერიაში). (2.06.2015 N 244)

მუხლი 7. შეფასების კრიტერიუმები (2.06.2015 N 244)

№	შეფასების კრიტერიუმი	ქულები					შეფასება (ქულა)	
1	ღონისძიების მნიშვნელობა - (ორგანიზატორის ავტორიტეტულობა, სტატუსი, მასშტაბი, აქტუალობა, ა.შ.)	3 ქულა არ არის მნიშვნე-ლოვანი	6 ქულა ნაკლებად მნიშვნე-ლოვანი	9 ქულა კარგი, მნიშვნე-ლოვანი	12 ქულა ძალიან მნიშვნე-ლოვანი	15 ქულა განსაკუთრებით მნიშვნე-ლოვანი		
შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზატორის სტატუსსა და მნიშვნელობას, ღონისძიების სტატუსსა და მნიშვნელობას და მასშტაბს.								
2	განმცხადებლის როლი/მონაწილეობა ღონისძიებაში							
2.1				5 ქულა სასტენდო მოხსენება (პოსტერი)	10 ქულა სექციის მოხსენება	15 ქულა პლენარული მოხსენება (Key note speaker)		
2.2			2 ქულა ღონისძიებაში განხორციელებული სამეცნიერო აქტივობა	4 ქულა მოდერატორი; რეპორტერი; კონფერენციის სამეცნიერო გამომცემის ხელმძღვანელი; სარედაქციო ჯგუფის წევრობა	6 ქულა სამეცნიერო სიმპოზიუმის/სესიის თანახმდ-ვანელო; სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა	8 ქულა ღონისძიების სამეცნიერო კომიტეტის თანახმდ-ვანელო; წევრობა		
2.1-სა და 2.2-ში იწერება ერთი, უმაღლესი ქულა.								
3	ბიუჯეტი	0 ქულა არ შეესაბამება რეალურ ხარჯებს	2 ქულა შეესაბამება რეალურ ხარჯებს	4 ქულა შეესაბამება და აქვს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის მინ. 10% თანადა-ფინანსება (თვით-დაფინანსება ან სხვა წყაროდან)	6 ქულა შეესაბამება და აქვს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის მინ. 20% თანადა-ფინანსება (თვით-დაფინანსება ან სხვა წყაროდან)	8 ქულა შეესაბამება და აქვს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის მინ. 50% თანადაფინანსება (თვითდაფინანსება ან სხვა წყაროდან)	10 ქულა შეესაბამება და აქვს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის მინ. 20% (თანა-დაფინანსება მომწვევი მხარისგან)	
ფასდება ბიუჯეტის ხარჯების შესაბამისობა და თანადაფინანსების კომპონენტი								
4	განმცხადებლის სტატუსი			3 ქულა მაგისტრი / მაგისტრანტი	4 ქულა დოქტორანტი	5 ქულა დოქტორი		
დოქტორის ხარისხის მქონე პირს ენიჭება 5 ქულა, დოქტორანტს - 4 ქულა, მაგისტრს ან მაგისტრანტს - 3 ქულა								
5	განმცხადებლის სამეცნიერო ნაშრომები	1 ქულა ადგილობრივი საკონფერენციო	2 ქულა საერთა-შორისო საკონფერენციო	3 ქულა პუბლიკაცია ადგილობრივ	4 ქულა პუბლიკაცია საერთა-შორისო	5 ქულა საერთა-შორისო აკადემიური		

		აბსტრაქტები	ო აბსტრაქტები	რეფერირებად ჟურნალში	რეფერირებად ჟურნალში, ადგილო-ბრივი აკადემი-ური გამომ-ცემლო-ბ ის მიერ გამოცემული მონოგრაფია	გამომ-ცემლობის მიერ გამოცემული მონო-გრაფიის თანა/ ავტორობა	
ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მაქსიმუმ 3 ნაშრომი (ქულები ჯამდება)							
6	მონაწილეობა სამეცნიერო კვლევით პროექტებში	1 ქულა ადგილობრივ და საქართველო-უცხოეთის ერთობლივ პროექტში მონაწილეობა		2 ქულა საერთაშორისო ფონდების/ორგანი-ზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტში მონაწილეობა			
ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მაქსიმუმ 3 პროექტი (განიხილება მხოლოდ ის საგრანტო პროექტები, რომლებიც დაიწყო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში; აგრეთვე – მხოლოდ ძირითადი პერსონალისა და ხელმძღვანელის სტატუსით მონაწილეობა); ქულები ჯამდება							
7	განმცხადებლის ასაკობრივი ჯგუფი	1 ქულა 40 წლის ზემოთ		7 ქულა 35-დან 40 წლამდე	14 ქულა 35 წლამდე		
35 წლამდე ახალგაზრდა მეცნიერს ენიჭება 14 ქულა, 35-40 წლამდე - 7 ქულა, 40 წლის ზემოთ - 1 ქულა							
	ჯამი:						

შენიშვნა: ერთნაირი ქულების შემთხვევაში, პრიორიტეტულია პირველი კრიტერიუმის ქულა, ესეც თუ დაემთხვა – ფინანსდება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტი.